

1941



სახალთველოს საბჭოთა კომისარის მისამართის

ათა გ 6 3 2 0 6

დადგენილებათა და განვირებულებათა პრეზიდი

1941 წ. 20 მაისი

№ 16

თ ბ ი ღ ი ს ი

ზ 0 6 1 5 6 6 0

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (მ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზი

91. შაქრის ჭარბლის ნათესებზე ჭარბლის ცხვირგრძელასა და პურეულის წვატარის წინააღმდეგ ბრძოლის ორინისტიკათა შესახებ.
92. ყაზბეგის რაიონში კოლმურნეთა, აგრეთვე ერთპიროვნულ მუშაობისა და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა საკარმილამო ნაკვეთების ნორმების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაზი

93. საქართველოს სსრ სოცემუნიკაციულოფის სახალხო კომისრის მოადგილედ ამშ. ვ. ტ. ცაგურიას დანიშვნის შესახებ.
94. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების - 81 მუხლის შეცვლის შესახებ.
95. ლაგოდების ნაკრძალის ახალი სახლვერბის დამტკიცების შესახებ.
96. საქართველოს სსრ მთავრისან რაიონებში მარცვლეული პროდუქტების ავტოსაგაპანი ტეირზონიდების განაკვეთების შესახებ.
97. იმ დოკუმენტთა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთა მიხედვითაც გადაწდებინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების აღმასრულებელი წარწერის საფუძველზე.
98. სსრ კუვირის საპრომსაბჭოსთან მყოფი საქართველოს სსრ საპრომსაბჭოს მუდმივი წარმომადგენლის შესახებ.
99. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან ამშ. მ. ნ. აჯიბეგაშვილის მოხსნის შესახებ.
100. სარეწაო კომპერაციის, სატყეო-სარეწაო კომპერაციისა და ინვალიდთა კომპერაციის კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადების ფონდში პროცენტული დანარიცხებისა და ანრიცხების ნორმების შემცირების შესახებ.
101. „დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურებისათვის ტრამვაის ბილეთების უფასოდ დარიგების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ საპრომსაბჭოს 1941 წლის 10 ოქტომბრის დადგენილების დამატებაზე.
102. კ. სოხუმისა და გაგრაში 1941 წელს განსაკუთრებული საიჯარო გამოსამარტინის გადაწყვეტილების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე

91. შაქრის კარხლის ნათესებზე ჭარხლის ცხვირგრძელასა და პურეულის ხვატარის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშვნელი, რომ 1939 და 1940 წლებში შაქრის ჭარხლის ზოგიერთ უმნიშვნელო ნაკვეთზე აღმოჩენილი იყო შაქრის ჭარხლის ცხვირგრძელას ერთეული ექვემდებარები (გორის რაიონში 2 ჰექტარზე და ხაშურის რაიონში — 1,5 ჰექტარზე). დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული შაქრის ჭარხლის ნათესებზე შემოდგომის პურეულის ხვატარი და ჭარხლის რწყილი.

თავის დროზე ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად, ეს მავნებლები მოსპობილ იქნა და შაქრის ჭარხლის ნათესები გადარჩა.

იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული შაქრის ჭარხლის მავნებლების, განსაკუთრებით ჭარხლის ცხვირგრძელასა და შემოდგომის პურეულის ხვატარის, მასობრივი გავრცელება, და თავის დროზე მოეწყოს მათთან ბრძოლა, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს, საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის რაიონების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარებსა და რაიონმმების მდივნებს ჩიატარონ 1941 წელს შემდეგი სავალდებულო ღონისძიებანი შაქრის ჭარხლის მავნებლებთან ბრძოლისათვის:

1. ჭარხლის ცხვირგრძელას წინააღმდეგ.

ა) განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მოაქციონ როგორც შაქრის ჭარხლის ის ნათესები, სადაც წინა წლებში აღმოჩენილი იყო ჭარხლის ცხვირგრძელა, ისე ამ ნათესების მახლობლად მდებარე ნაკვეთებიც, რომელიც შესაძლებელია ჭარხლის ცხვირგრძელას გამოჩენა მიმდინარე წელს, რისთვისაც გამოჰყონ სპეციალური კოლმეურნები სიგნალიზატორები;

ბ) ყველა ნაკვეთზე, შაქრის ჭარხლის თესვის პარალელურად, გაიყვანონ კიდური და წარმმართველი თხრილები 35 სანტიმეტრი სილრმისა და 25 სანტიმეტრი სიგნისა; არხების ფსკერზე ერთმანეთისაგან 5—10 მეტრის მოშორებით მოაწყონ კიდური ორმოები სილრმით არანაკლებ 30 სანტიმეტრისა;

გ) სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიონ არხებისა და ორმოების მდგომარეობას და არ დაუშვება მათი დანაგვიანება; თხრილებში ჭარხლის ცხვირგრძელას აღმოჩენის დროს მოსპონ იგი, ხოლო პლანტაციაზე დაუყოვნებლივ მოაწყონ ხელით შეგროვება და შაქრის ჭარხლის ნათესების სავსებით გაწენდა

მავნებლებისაგან; ამასთან ერთად შაქრის ჭარხლის დაავადებულ ნათესებზე მოასურონ შეამიანი მასალები (პარიზის მწვანე, ქლორის ნატრიუმი, ქლორის ბარიუმი და სხვა).

2. შემოდგომის პურეულის ხეატარის წინააღმდეგ:

ა) შაქრის ჭარხლის ყველა ნათესზე გაიყვანონ კიდური თხრილები;

ბ) პირველი გაფხვიერებისთანავე ჩატარონ შაქრის ჭარხლის ნათესების მთელ ფართობზე შემოდგომის პურეულის ხეატარის ხელით გულმოდგინედ შეგროვება და მცენარეების გაწმენდა სარეველასგან, ამასთან განიმეორონ ეს ლონისძიება სისტემატურად, ვიდრე არ მოხდება მავნებლის სრული ლიკვიდაცია;

გ) შემოდგომის პურეულის ხეატარის პეპლების ფრენის დაწყებისთანავე დასდგან ყოველ ჰექტარზე 3—4 საცერი ბადაგით;

დ) შემოდგომის პურეულის ხეატარის გამოჩენის შემთხვევაში მოაწყონ ოლმეურნეთა მასობრივი გამოსვლა ხელით შევაგროვებლად შემოდგომის ხეატარის სრულ მოსპობამდე.

3. შაქრის ჭარხლის ნათესებზე, რომლებიც დაავადებულია ჭარხლის რწყილით, ჩატარონ ნათესების შეფრქვევა დარიშხან-მქავას კალციუმით და თამბაქოს მტვერისა და კირის ნარევით.

4. დაუყოვნებლივ ჩატარონ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში არსებული ქიმიკატებისა და აპარატურის აღრიცხვა და შეუდგნენ მათ რემონტს, ამასთან ეს მუშაობა დაამთავრონ არაუგვიანეს 1941 წ. 10 აპრილისა.

5. შეამოწმონ, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობები შეხმის მასალით და მოაწყონ, რათა აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა ქიმიმარაგების საწყობებიდან გაიტანონ შეხმის მასალა იმ ოდენობით, რაც საკიროა შაქრის ჭარხლის მავნებლებთან ბრძოლის ჩასატარებლად.

6. შაქრის ჭარხლის მავნებლებთან განსაკუთრებით ჭარხლის ცხვირგრძელასთან ბრძოლის ყველგვარი ლონისძიების დროულიდ და ხარისხოვნად ჩატარებისადმი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესდეს, სსრ კაეშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წ. 3 მარტის შესაბამისად, მეჭარხლეობის ყველა რაიონში სახელმწიფო ინსპექტურა.

7. სახელმწიფო ინსპექტორის მოვალეობა დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის მიწვანების გამგეებს.

8. უფლება მიენიჭოს სახელმწიფო ინსპექტორებს კოლმეურნეობათა მიერ ჭარხლის ცხვირგრძელასთან ბრძოლის დაწესებულ სავალდებულო ლონისძიების შეუსრულებლობისათვის დააჯარიმონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და მემინდევრების ბრიგადების ბრიგადირები მათი თვიური ნატურალური და ფულადი საზღაურის ოდენობამდე.

9. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებს, რომლებიც დაარღვევენ ჭარბლის ცხვირგრძელასთან მექანიკური და ქიმიური ბრძოლის სავალდებულო ლონისძიებებს და ამის შედეგად დაუშვებებს შაქრის ჭარბლის მნიშვნელოვან დაზიანებას, რაც ხელმეორედ დათესავს მოითხოვს, გადახდებათ ჯარიმის წესით იმ შხამის ღირებულება, რაც კოლმეურნეობამ დახარჯა ან უნდა დაეხარჯა ამ დაზიანების თავიდან ასაცილებლად ანდა ჭარბლის ხელმეორედ დასათხესად.

10. როდესაც კოლმეურნეობა არ შეასრულებს ჭარბლის ცხვირგრძელას-თან ბრძოლის სავალდებულო ლონისძიებებს, სახელმწიფო ინსპექტორები კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან ბრიგადირის თანდასწრებით შეადგენენ აქტს, რომელშიაც ზუსტად უნდა იქნას აღნიშნული ბრძოლის სავალდებულო ლონისძიებათა დარღვევის ან გადახვევის ფაქტები, აგრეთვე დადებული ჯარიმის რაოდენობა.

სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება ჯარიმის ზაღების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე აქტის შედგენის მომენტიდან (აქტის შედგენის დღის ჩათვლით) არაუგიანეს 3 დღისა.

11. დაწესდეს, რომ ჯარიმის უმართებულოდ დადების შესახებ შეტანილ განცხადებებს განიხილავენ რაიონული საბჭოების აღმასკომები განცხადების მიღების მომენტიდან ორი დღის გადაში. რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება საბოლოოა.

12. ჭარბლის ცხვირგრძელასთან ბრძოლის სავალდებულო ლონისძიებათა შეუსრულებლობისათვის დადებული ჯარიმები სახელმწიფო ბიუჯეტში შედის. ჯარამების გადახდევინება რაიფანგანებს ეკისრებათ.

13. რაიმიწვანების გამგებს 1 აპრილიდან 1 აგვისტომდე, ე. ი. იმ პერიოდში როდესაც ისინი ჭარბლის ცხვირგრძელასთან ბრძოლის ლონისძიებათა შესრულების შემოწმებელი სახელმწიფო ინსპექტორების მოვალეობას ასრულებენ, დაენიშნოს დამატებითი ხელფასი თვეში 100 მანეთი.

ჭარბლის ცხვირგრძელას წინააღმდეგ დამუშავებული ფართობების მიღება მოხდეს მხოლოდ აგრონომის სავალდებულო მონაწილეობით შედგენილი აქტების თანახმად.

14. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარებებს ერთი კვირის განმავლობაში დაიყვანონ ეს დადგნილება ცველა კოლმეურნეობამდე და განიხილონ იგი კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

15. წინადადება მიეცეს კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების მიწვანების გამგებს ყოველდეკადურად მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ჭარბლის ცხვირგრძელასთან და შაქრის ჭარბლის სხვა მავნებლებთან ბრძოლისათვის მზადების, აგრეთვე მათთან ბრძოლის მიმღინარეობის შესახებ.

16. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარისატეს
სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიოს ამ დადგენილების შესრულებას და პე-
რიოდულად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს და საქ. კ. 3. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს

თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. 3. (ბ) ც.კ.-ის

მდივანი კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 12 აპრილი. № 647.
თბილისი.

92. ყაზბეგის რაიონში კოლმეურნეთა, აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა
და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა საკარმიდამო ნაკვეთების ნორმე-
ბის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. 3. (ბ) ცენტ-
რალური კომიტეტი აღვნენ:

1. დაწესდეს ყაზბეგის რაიონში საკოლმეურნეო კომლის პირადი სარგებ-
ლობისათვის გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთის ზომა 0,25-დან 0,30 ჰექტა-
რამდე, საცხოვრებელ ნაგებობათა მიერ დაკავებული მიწების ჩაუთვლელად.

2. ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული სამინდვრე
მიწა განისაზღვროს ერთ ჰექტარამდე, სათიბი ნაკვეთების ჩათვლით, ხოლო
საკარმიდამო ნაკვეთები ამ მეურნეობებისათვის დაწესდეს 0,20 ჰექტარის რაო-
დენობით, ნაგებობათა მიერ დაკავებული მიწის ჩათვლით.

3. ინვალიდთა, პენსიონერთა, მოხუცთა მეურნეობებისათვის, რომლებიც
კოლმეურნეობის წევრებად, არ ირიცხებიან, აგრეთვე კოლმეურნეობის არა-
წევრი მუშებისა და მოსამსახურებისათვის, რომლებიც სახელმწიფო საწარმო-
ებში, რეინიგზებზე და დაწესებულებებში მსახურობენ და სასოფლო ადგილებ-
ში ცხოვრობენ კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე, სოფლის მასწავლებლებისათ-
ვის, აგრონომებისა, ზოოეტერინარულ და სამედიცინო მუშაკებისათვის, რომ-
ლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ სასოფლო ადგილებში,—საკარმიდამო ნაკ-
ვეთების ზომა დაწესდეს ერთ ოჯახზე არაუმეტეს 0,15 ჰექტარისა, ნაგებო-
ბათა მიერ დაკავებული მიწის ჩათვლით.

4. კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობის სხვა არა-
წევრთა მთელი ნაკარბი მიწები, ზემოაღნიშნულ ნორმებთან შედარებით, მიეზო-
მოს საკოლმეურნეო მიწებს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მინისტრის მიავლინოს ყაზბეგის რაიონის დასახმარებლად მიწათმომწყობთა ჯგუფი მიწათმომწყობის სამუშაოების ჩისატარებლად კოლმეურნეობებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს

თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ.-ის

მდიგანი კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 14 აპრილი. № 672.

თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

93. საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარის მოადგილედ ამხ. ვ. ტ. ცაგურიას დანიშვნის შესახებ:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

დაინიშნოს ამხ. ვიქტორ თემიშვილის-ძე ცაგურია საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 9 აპრილი. № 635.

თბილისი.

94. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების 8¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

„ერთი სახელმწიფო, სამეურნეო კომპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მეორისათვის არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდების დროს პრეტენზიების წარდგენის წესისა და ვადების შესახებ“ სსრ კავშირის სახელმისამართის არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის იმ ინსტრუქციის 28 მუხლის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 51, მუხ. 428), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგინს:

მუხ. 8¹ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებისა (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 12, მუხ. 49) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 8¹ ისეთი საქონლის მიწოდებისათვის წამოჭრილი დავა, როგორც ამავე დავის ხარისხით ხელშეკრულების პირობებს არ შეესაბამება, აღიძრება საქონლის მიღების ადგილის მიხედვით“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 12 აპრილი. № 651.
თბილისი.

95. ლაგოდეხის ნაკრძალის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ლაგოდეხის კომპლექსური ნაკრძალი შემდეგ საზღვრებში— 13.000 ჰექტარი საერთო ფართობით:

სამხრეთ-დასავლეთით: შრომის ჩამონანგრევი (ნინის მთის ტოტიდან ნინის მთის ქედით) დაღისტნის ასს რესპუბლიკის საზღვრამდე ანცალის მთის მწვერვალთან;

ჩრდილოეთით: ანცალის მთიდან კავკასიონის ქედის მწვერვალების ხაზით ზაქათალის ნაკრძალამდე არსებული რესპუბლიკური საზღვრის გასწვრივ;

აღმოსავლეთით: მდინარე მაზიმ-ჩაი მაზიმის ბილიკამდე;

სემხრეთით: მაზიმის ბილიკით, რომელიც სოფელ ცოდნის ზემოთ გადის მთის კილურთან აგურის გროვამდე (მონასტრის ნანგრევები), აქედან სახელმწიფო სატყეო ფონდის საზღვრით შრომის ჩამონანგრევამდე— ნინის მთის ქელზე.

2. ძალადგარებულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ცაკის და სახომსაბჭოს 1935 წლის 4 ნოემბრის დადგენილება „ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლების და დაცვითი ნაკეთების ქსელის დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 31, მუხ. 200) ლაგოდეხის ნაკრძალის მიმართ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 16 აპრილი. № 679.
თბილისი.



96. საქართველოს სსრ მთავრობან რაიონებში მარცვლეული პროდუქტების აცხოსაჭაპანო ტფირთში იდგის განაკვეთების შესახებ.

„მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის მარცვლეული პროდუქტების გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 13 იანვრის № 48 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო დამატებით თავისი 1938 წლის 8 თებერვლის დადგენელებისა „საქართველოს სსრ მთავრობან რაიონებში მარცვლეულის პროდუქტების აცხოსაჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 5, მუხ. 20) აღენს:

1. ნება დართულ იქნას პურეული პროდუქტებისა და მარცვალ-უურაესის გადაზიდვა გორის რაიონში:

1) სოფელ ატენიდან სოფელ ბობნევამდე 20 კილომეტრის მანძილზე ურმებით, ხოლო 9 კილომეტრზე აკიდებით.

2) სოფელ ატენიდან სოფელ კველიათუბნამდე 20 კილომეტრზე ურმებით, ხოლო 17 კილომეტრზე—აკიდებით.

3) სოფელ ატენიდან სოფელ მლებრიანამდე 23 კილომეტრზე ურმებით, ხოლო 22 კილომეტრზე—აკიდებით.

4) სოფელ ატენიდან სოფელ ზემოახალსოფლამდე 23 კილომეტრზე ურმებით, ხოლო 12 კილომეტრზე—აკიდებით.

5) სოფელ ატენიდან სოფელ დრიამდე 5 კილომეტრზე ურმებით, ხოლო 10 კილომეტრზე—აკიდებით.

2. აღნიშნულ პუნქტებში აცხოსაჭაპანო ხარჯები ანაზღაურებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, მაგრამ არაუმტერეს 5 მანეთისა ურმებით გადაზიდვის დროს და არაუმტერეს 10 მანეთისა აკიდებით გადაზიდვის დროს ტონა-კილომეტრი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 16 აპრილი. № 680.

თბილისი.

97. იმ დოკუმენტთა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთა მიხედვითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოებას აღმასრულებელი წარწერის საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

„იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადადევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერის საფუძველზე“ საქართველოს

სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 23 მაისის დადგენილების დადგენილების კარს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 15, მუხ. 126; № 21, მუხ. 208; № 24, მუხ. 256; 1933 წ. № 1, მუხ. 26; 1934 წ. № 1, მუხ. 35; № 14, მუხ. 138; № 25, მუხ. 199; № 33, მუხ. 254; 1935 წ. № 5, მუხ. 32; № 32, მუხ. 206, 207; 1936 წლის № 7, მუხ. 52; № 12, მუხ. 76; № 23, მუხ. 140; № 34, მუხ. 207; 1937 წ. № 1, მუხ. 8; № 2, მუხ. 15; № 13, მუხ. 98; 1938 წ. № 13, მუხ. 61; № 15, მუხ. 77; № 16, მუხ. 79; საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 1, მუხ. 7) დაფინანსოს პუნქტი 40 შემდეგი შინაარისა:

„40. სსრ კავშირის საარქიტექტურო ფონდის მიერ გაცემული სესხების დაფალიანების დოკუმენტებით“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 16 აპრილი. № 682.

თბილისი.

98. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეოფი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მუდმივი წარმომადგენლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ა. ა. გიგოშვილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 19 აპრილი. № 713.

თბილისი.

№ 16

99. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან ამბ. მ. ნ. აჯიბეგაშვილის მოხსნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

მოიხსნას ამბ. მ. ნ. აჯიბეგაშვილი საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან სუსტი მუშაობისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 19 აპრილი. № 714.

თბილისი.

100. სარეწაო კოოპერაციის, სატყეო-სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადების ფონდში პროცენტული დანარიცხებისა და ანარიცხების ნორმების შემცირების შესახებ.

„სარეწაო კოოპერაციის, სატყეო-სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადების ფონდში პროცენტული დანარიცხებისა და ანარიცხების ნორმების შესახებ“ სსრ კავშირის სახეომსაბჭოს 1941 წლის 5 აპრილის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 12, მუხ. 207) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

1. გატარდეს 1941 წლის 1 იანვრიდან კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადების ფონდში პროცენტული დანარიცხები და ანარიცხები შემდეგი ნორმით:

სარეწაო კოოპერაციის (სარეწაო საბჭოს) ხაზით

- წარმოების მუშათა-არტელის წევრთა ძირითად ხელფასზე— 1% ,
- რეალიზებული პროდუქციის საწარმოო თვითონირებულებისაგან— $0,5\%$.

სატყეო-სარეწაო კოოპერაციის (საქსარეწაო კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადების ფონდში პროცენტული დანარიცხები და ანარიცხები შემდეგი ნორმით)

- წარმოების მუშათა არტელის წევრთა ძირითად ხელფასზე— 1% ,
- რეალიზებული პროდუქციის საწარმოო თვითონირებულებისაგან— 1% .

ინვალიდთა კოოპერაციის (საქკოოპინკავშირის) ხაზით

- ყოველგვარი სახის საქმიანობის, გარდა ვაჭრობისა, საწარმოო თვითონირებულებისაგან— 1% ;
- ვაჭრობისათვის—საქონლის შესასყიდი ლირებულებისაგან— $0,2\%$.

2. ამ დადგენილების 1 პუნქტის შესაბამისად, შემცირდეს ასიგნორანი
1941 წლის კულტურულ-მასობრივი მუშაობის და კადრების მომზადების ხარ-
ჯებისათვის 1.894.000 მანეთის რაოდენობით, აქედან:

ა) სარეწაო კომპერაციის ხაზით—1.276,3 ათასი მან.

ბ) სატყეო სარეწაო კომპერაციის ხაზით—407,7 ათასი მან.

გ) ინგალიფთა კომპერაციის ხაზით—210,3 ათასი მან., თანახმად თან-
დართული გაანგარიშებისა.

3. კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადების ფონდე-
ბით ხარჯების შემცირებისაგან მიღებული აღნიშნული სახსრები გადაირიცხოს
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსვალში, რისთვისაც შესყიდულ იქნას სახელმწიფო
სესხთა ობლიგაციები, თანაბარ ნაწილებად კვარტალების მიხედვით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს ამს. ციმა-
კურიძეს განახორციელოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თაემჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 19 აპრილი. № 719.

თბილისი.

101. „დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის ტრაშვაის ბი-
ლეთების უფასოდ დარიგების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ
სახკომსაბჭოს 1941 წლის 10 თებერვლის დადგენილების დამატებაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეებისათვის ტრაშვაის ბილე-
თების უფასოდ დარიგების აკრძალვის შესახებ“, საქართველოს სსრ სახკომსაბ-
ჭოს 1941 წლის 10 თებერვლის დადგენილების მე-2 პუნქტს (საქ. სსრ დადგ.
კრ. 1941 წ. № 9, მუხ. 46) დაემატოს შემდეგი:

„ნება დაერთოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს
შეიძინოს მუდმივი წლიური ბილეთები ფოსტალიონებისათვის, დეპეშების დამ-
ტარებლებისა და ავტომატური სატელეფონო-სადგურის მონტიორ-ზედამხედვე-
ლებისათვის, რომლებიც ქ. თბილისში ეწევიან დაზიანებული სატელეფონო
ხაზებისა და აბონენტთა აპარატურის შეკეთებას.“

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თაემჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 19 აპრილი. № 721.

თბილისი.

102. ქ. სოხუმსა და გაგრაში 1941 წელს განსაკუთრებული საიჯარო გადახდევინების შესახებ.

„მთელ რიგ საკურორტო აღგილებში 1941 წელს განსაკუთრებული საიჯარო გამოსალების გადახდევინების შესახებ“ სსრ კიაშირის სახკომისაბჭოს 1941 წლის 12 აპრილის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახლხო კომისართა საბჭო აღგენს.

1. გაგრძელდეს 1941 წელს ქ. სოხუმსა და გაგრაში განსაკუთრებული საიჯარო გამოსალების გადახდევინება იმ მიწებზე, რომლებიც სანატორიუმებს, დასასევენებელ სახლებს, სასტუმროებსა და პანსიონატებს უჭირავთ, აგრეთვე საკარმილამო ნაკვეთებზე 30 კაპეიკი კვ. მეტრში, და იმ მიწებზე, რომლებიც ბოსტნებსა და ბალებს უჭირავს,—2 კაპეიკი კვადრატულ მეტრში წლიურად.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად განსაკუთრებული საიჯარო გამოსალების გამოყენების გეგმა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს ოავტომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 24 აპრილი. № 745.
თბილისი.



ଧାରାମଦେହଙ୍ଗଳେ: ବାଜାରତପ୍ରେଲାଙ୍କ ସେହି ବାକାଲକୋ କରମିଶାରତା ବାଢ଼ିଲୁ

ଶୁଣଦା ବାଦାରଙ୍ଗେ ମିଠାରଙ୍ଗେ ରିଗଶି
ଶେଲ୍ପିରିଲିଲି ଜ୍ଵେଶ.

ମିସାମାର ତିସାତ ଗାସ

ଫାଟୀ 40 କାର.

ଲ୍ଲ. 3. ଶ୍ରେଣୀର ସାହେଲାବିଲି ପାଲିଗରାଷ୍ଟରିଲି କରମିନାରି କରମିନିରିଲିରି. ତବିଲିଲି, ଲ୍ଲିନିନି କ୍ର. № 28
ଶ୍ରେଣୀର ନଂ 1160. ଶ୍ରେଣୀର ନଂ 1600.